

*ქპა გოლერძიშვილი***ქრისტიანულ-მუსლიმური ურთიერთობის ისტორიიდან**

ყველა სხვა რელიგიებისაგან განსხვავებით, რომლებიც ქრისტიანობასთან კონფრონტაციაში ვრცელდებოდა, ისლამი აღმოცენდა და განვითარდა იმ სამყაროში, სადაც ქრისტიანობა და ქრისტიანული ეკლესია დიდი ხნის დაფუძნებული იყო. როგორ შეხვდა ქრისტიანობა ისლამს, რას წარმოადგენდა იგი, რატომ იმრდებოდა ისლამის მიმდევართა რიცხვი იქ, სადაც ქრისტიანობა დომინირებდა, რა მდგომარეობაში იყო ამ რეგიონის ქრისტიანული მოსახლეობა, სწორედ ეს არის საკითხების ის წრე, რომელიც უდავოდ დიდ ინტერესს იწვევს.

ქრისტიანობა აღმოსავლეთში აღმოცენდა, მასში გაჯერებული იყო აღმოსავლური გრადიციები და სწრაფად გავრცელდა სირია-პალესტინის რეგიონის უზარმაზარ ტერიტორიაზე. ქრისტიანობის მქადაგებლები მიისწრაფოდნენ ახალ მოძღვრების ევროპაში გავრცელებისაკენ.

რომის პოლიტიკური ხელისუფლების დაშლით, ეკლესიამ აღმოსავლეთში დიდი პოლიტიკური გავლენა მოიპოვა. აღმოსავლეთში ქრისტიანობის გავრცელება უფრო სწრაფად ხდებოდა ვიდრე დასავლეთში. ამაში არც არაფერია გასაკვირი, რადგანაც მოძღვრება უფრო აღმოსავლეთის რელიგიას წარმოადგენდა.

დასავლეთში რომი დევნიდა ქრისტიანებს და რამდენადაც ისინი ირანელებს ეომებოდნენ, ეს უკანასკნელნი პოლიტიკიდან გამოძლინარე, მფარველობდნენ ქრისტიან ქვეშევრდომებს.

აღმოსავლეთ-დასავლეთის დაპირისპირებანი აბრკოლებდა აღმოსავლეთის ეკლესიების ურთიერთობას დასავლეთთან. თუმცაღა ანტიოქიის საპატრიარქო ნომინალურად ანტიოქიას ემორჩილებოდა, მაგრამ თავდანვე ის აბსოლიტურად დამოუკიდებელი იყო. ამგვარად, მღვდლვარე კამათებმა ერესის შესახებ, ნაკლებად ააღელვა აღმოსავლეთის ეკლესია. მეორეს მხრივ, ამ ეკლესიამ მიიღო ნესტორიანული* მოძღვრება და დასაბამი მისცა ეკლესიის გაყოფას.

მეოთხე ასწლეულში მდგომარეობა შეიცვალა, როდესაც იმპერატორმა კონსტანტინემ ოფიციალურად მიიღო ქრისტიანობა. მან გამოაცხადა მფარველობა ყველა ქრისტიან ქვეშევრდომზე, მაგრამ ვერ შეძლო მათთვის დახმარების აღმოჩენა, ხოლო თეოლოგიურმა ბრძოლებმა და დაპირისპირებებმა, ეკლესია გახლეჩვამდე მიიყვანა. ისლამმა კი თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე მოიპოვა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი, ხოლო ქრისტიანობა ამ რეგიონში ეთნოკონფესიონალურ უმცირესობათა

* ნესტორი სირიელი ბერი და ანტიოქიური თემის მღვდელი იყო. ეფესოს საეკლესიო კრებაზე იგი ერეტიკოსად გამოსაყხადეს და ლიბანში გადაასახლეს, სადაც ვარდაიცივალა 440წ/7, გვ 6-7.

ჯგუფების სახით შემორჩა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ქრისტიანებმა დიდი კულტურული მიღწევები დაახვედრეს ისლამს. ეს იყო ბერძნულ-რომაული კულტურა. მუსლიმებმა აითვისეს და გაბატონდნენ იმ ტერიტორიებზე, სადაც მსოფლიო ცივილიზაციისა და განათლების მაღალი დონე იყო.

ქრისტიანული ეკლესია ამ ცივილიზაციების დამცველად გვევლინება. ეს ცივილიზაცია ქრისტიანულ იდეებთან ერთად შემოვიდა და ისლამის სულიერი და გონებრივი განვითარების საზრდოდ იქცა. დამასკო და ედესა ერუდიციის ცენტრებს წარმოადგენდნენ, აქ კლასიკოსი ავტორები ენებსა და თარგმანის ხელოვნებას ეუფლებოდნენ, არაბთა დაპყრობების შემდგომ კი აქტიურად თარგმნიდნენ მეცნიერებისა და ფილოსოფიის ნიმუშებს არაბულ ენაზე.

ისლამის აღმოცენებამ და გავრცელებამ პრაქტიკულად განსაზღვრა აღმოსავლეთის ქრისტიანების ბედი, ისინი ახალ რელიგიას წინააღმდეგობის გარეშე შეხვდნენ. ეს გარკვეულმა მიზეზებმა განაპირობა: პირველი იყო ის, რომ მუსლიმები საკმაოდ მოთმინებით ეპყრობოდნენ ქრისტიანებს, რასაკვირველია იმ შემთხვევაში, თუ ისინი პოლიტიკურად ლოიალურები იყვნენ, მეორეც მუსლიმები იცავდნენ მათ ბიზანტიისაგან, რომელიც დევნიდა მონოფიზიტებს და ნესტორიანელთა სექტებს.

შემდგომში ისლამის პოლიტიკური და თეოლოგიური განმტკიცების, ისლამურ გარემოცვაში ანტიქრისტიანული განწყობილების გამრდის შედეგად, ახლოაღმოსავლეთის ქრისტიანთა ძირითადი მასა ისლამზე მოექცა. ვინც თავისი რელიგიის ერთგული დარჩა, ფაქტიურად არაბიზაცია განცადეს. ეთნიკურობა შეინარჩუნეს ასურელებმა, კოჩებმა, სომხებმა, მარონიტებმა, მაგრამ სამაგიეროდ ასიმილაცია განიცადეს ლინგვისტური თვალსაზრისით. ეროვნული ენა მხოლოდ ლიტურგიაში შეინარჩუნეს/ 1, გვ21/

და მაინც ქრისტიანულ თემებს არ განუცდიათ მთლიანი ასიმილაცია, ნაწილობრვ მაინც შეინარჩუნეს სასულიერო და კულტურული თვითმყოფადობა და ქრისტიანული თემების სახით ჩამოყალიბდნენ.

ქრისტიანებს შეეძლოთ შეენარჩუნებინათ თავიანთი სარწმუნოება და კულტი მუსლიმთა მფარველობის მიღების პირობით. მათ უნდა ეხადათ სულადობრივი გადასახადი „ჯიზია“, საადგილმამულო გადასახდის ხარაჯას-თან ერთად. უნდა დაეცვათ რიგი მოთხოვნებისა, რომლის მიზანი იყო წინ აღდგომოდნენ ისლამზე ქრისტიანობის გავლენას. ამგვარად მუსლიმები ცდლობდნენ ერთის მხრივ, ქრისტიანი მოსახლეობისგან მიეღოთ ეკონომიკური სარგებელი, და მეორე მხრივ, შეძლებისდაგვარად არ დაეშვათ მათი ასიმილაცია მუსლიმებთან. ამის გამო ქრისტიანები ცალკეულ თემებად განაცალკევეს. ქრისტიანული ეკლესიები ადამ მეცის სიგყვებით, „ყოველთვის წარმოადგენდნენ თითქოს და უცხო

სახელმწიფოს ისლამის იმპერიაში“/5, გვ39/

მუსლიმთა ბატონობის პირველივე საუკუნე დაპყრობებით იწყება და მოიცავს ომაელი ხალიფების ბატონობის პერიოდს/661-750წწ./ ომაელები რჯულშემქმნარეობით გამოირჩეოდნენ ქრისტიანებისადმი. ეს ნაწლობრივ იმით აიხსნება, რომ ისინი ნაკლებ ინტერესს იჩენდნენ რელიგიის მიმართ.

750 წელს ძალაუფლება აბასელთა დინასტიის ხელში გადავიდა. მათი ბატონობის პერიოდში ქრისტიანული თემები სრულ ავტონომიასაც აღწევდნენ ხოლმე, მუდმივად ეკავათ მნიშვნელოვანი თანამდებობები, მათი კულტურაც თავისუფლად ვითარდებოდა ისლამის კულტურასთან ერთად /3, გვ32/.

IX-X საუკუნეებში ფანატიკოსი ხალიფები ცდლობდნენ აუტანელი გაეხადათ ქრისტიანთა ცხოვრება. მკაცრი წესები ხელს უშლდა ქრისტიანებს რაიმე გავლენა მოეხდინათ ისლამზე, მათ ღვენიდნენ სამოქალაქო დაწესებულებებიდან, ახალ-ახალი გადასახადები მძიმე ტვირთად აწევდნენ. ჩაგვრის, შეეწროების ასეთი ფორმები, ეკლესიას არასაიმედოსა და უუნაროს ხდიდა და იმ ეკლესიათა რიცხვს მატებდა, რომელიც ისლამმა შთანთქა/6, გვ62/.

ქრისტიანების საშუალებით მუსლიმები ეცნობოდნენ არა მარტო საუკუნეობრე კულტურას, არამედ უძველეს რელიგიებსაც, რომელიც უშუალო შემოქმედებას ახდენდა ახალზე. მაგრამ მუსლიმური თემის განათლების და განვითარების მრღასთან ერთად ქრისტიანთა გამოყენება მედიცინაში, განათლების სისტემაში, ფლოსოფიასა და სხვა დარგებში ნაკლებად სკინრდებოდათ და მათი გავლენაც თანდათან ეცემოდა.

თურქ-სელჩუკები ქრისტიანებს „ზიმშიებს“ უწოდებდნენ, ეი ხალხს, რომლებიც მუსლიმთა მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ, რასაკვირველია განსაზღვრული უფლებებით. მათ ეკრძალებოდათ პროზელიტური საქმიანობა, ვინც ეცდებდა გადმოებირებინა მუსლიმი ქრისტიანობაზე, ის სიკვდილით დაისჯებოდა. აღმოსავლეთის ქრისტიანებში მუსლიმები საშიშ და საძულველ მტერს ხელავდნენ, რომელთაც თავიანთი ქადაგებით შეეძლოთ გარკვეულ წარმატებებისთვის მიეღწიათ.

რაც შეეხებათ მონღოლებს, თავიდან ისინი კეთილგანწყობილნი იყვნენ ქრისტიანების მიმართ, რადგან მათში ხელავდნენ მომხრეებს თავიანთი მუსლიმი მტრების წინააღმდეგ. თვითონ ქრისტიანები საკმაო მიზლით უყურებდნენ მათ და ზოგჯერ ღვენიდნენ კიდევ /2, გვ53/.

1260 და 1280 წლებში მონღოლებმა ძლიერი დარტყმა განიცადეს ეგვიპტის ჯარებთან, რამაც დამპყრობთა რელიგიური პრესტიჟის ამაღლება გამოიწვია. 1291 წელს აკრის არების შემდეგ, სადაც აღარ არსებობდა ქრისტიანთა კონტროლის ნაკვალიც კი, მონღოლებმა სამუდამოდ გადაწყვეტეს გამარჯვებული სარწმუნოებისთვის დაეჭრათ მხარი. აქედან გამომდინარე ნესტორიანული ეკლესიის წევრთა რიცხვი, რომლებთანაც მონღოლებს აქტიური ურთიერთობა ჰქონდათ, საკმაოდ შემცირდა. იგი გახდა მრავალმხრივი, ხშირი ღვენისა და შინაგანი რღვევის

მსხვერპლი.

კონსტანტინოპოლის დაცემიდან ვიდრე XIX საუკუნემდე მუსლიმური სამყარო და თურქეთის იმპერია ქრისტიანული ევროპის თვალში გაბიჯებული იყო. ურთიერთობა საქრისტიანოსა და ისლამს შორის წარმოადგენდა ურთიერთობას ქრისტიანებსა და თურქებს შორის. ყველგან, სადაც თურქთა კონგროლი იყო, ფაზილარული ღიმების სტატუსი ქრისტიანთა ასოციაციას იწვევდა, იქნებოდნენ ესენი ბერძნები თუ სომხები, ბულგარები თუ ალბანელები/1, გვ22/. მათ ეკრძალებოდათ სამხედრო თუ სამოქალაქო სამსახურში ყოფნა. ისინი იხდიდნენ სულალობრივ გადასახადს, რომლისგანაც მუსლიმები თავისუფლდებოდნენ.

აღმოსავლეთის ქრისტიანები ამ რეგიონში ოთხი მთავარი მიმართულებით იყვნენ წარმოდგენილი: მართლმადიდებლები, კათოლიკები, პროტესტანტები, არაქალკედონური ეკლესიები.

მართლმადიდებლები წარმოდგენილნი არიან ოთხი ავტოკეფალური ეკლესიით: კონსტანტინოპოლის, ანტოქიის, ალექსანდრიის, იერუსალიმის.

აღმინისგრაციული თვალსაზრისით ეს ეკლესიები დამოუკიდებლები იყვნენ. თითოეულ მათგანს თავისი პატრიარქი ჰყავდა, პატრიარქს—მიგროპოლიტი, ეპისკოპოსი, წმინდა სინოდი.

მონოფიზიტები და ნესტორიანელები ქმნიან ე.წ. არაქალკედონურ ეკლესიას, რომლის დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ თავის მომხრეებს აერთიანებს ეთნიკურ და ეროვნული ნიშნით. მონოფიზიტები წარმოდგენილნი არიან ოთხი ეკლესიით: სომხურ—გრიგორიანული, იაკობისგური, ანუ სირო—მართლმადიდებლური, კოპტური? და ეთიოპური.

ნესტორიანელები ძირითადად ირანსა და ერაყში მოსახლეობდნენ.

ეს მმართულება ასურელებში შემორჩა, ამიტომ მას ასურულს უწოდებდნენ.

უნიათური ეკლესიები არიან რელიგიური თემები, რომლებმაც სხვადასხვა დროს კავშირი შეკრეს კათოლიკურ ეკლესიასთან. ისინი აღიარებდნენ რომის პაპის უზენაესობას, მაგრამ ინარჩუნებდნენ თავიანთ დამოუკიდებლობას საეკლესიო ორგანიზაციის, ლიტურგიულ წესებში. მათი უმეტესობა ცხოვრობს ლიბანში, სირიასა და ერაყში: 1)მელქიტები/ბერძენ-კათოლიკები/, 2) სომეხი კათოლიკები, 3)კოპტი კათოლიკები, 4) სირო კათოლიკები, 5)ქალდეელები, 6)მარონიტები /4,გვ 89-90/.

უნიის წარმოქმნას ხელი შეუწყო კათოლიკურმა პროპაგანდამ, რომელსაც რომის კათოლიკური ეკლესია აწარმოებდა კათოლიკე მისიონერებისა და ორდენების მეშვეობით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კათოლიკები მოცემულ რეგიონში ქრისტიანულ უმცირესობას წარმოადგენდნენ და მათ მიმართ საკმაოდ უარყოფითი დამოკიდებულება არსებობდა. თუმცა მათი მრავალრიცხოვანი პრობლემების გაგება, შესაძლებელია მხოლოდ მათივე ისტორიის განხილვის საფუძველზე, მოცემულ რეგიონთან სოციალურ-პოლიტიკურ და რელიგიურ მიმართებაში.

ლიტერატურა

1. Addison J. T. The christian approach to the Moslem. N, Y 1942 Y.
2. Christian among muslims, encounter, 1978 N48.
3. Fortescue A. The orthodox eastern church. NY. 1923
4. Журавский А. В. христианство и ислам
5. Мец. А. Мусульманский ренессанс. М 1973.
6. Blunt W. Secret history of the English occupation of Egypt. L, 1970 Y.
7. Софоний Сокольский. Исторический очерк несторианства от его появления в 5 веке до настоящего времени епископа софония, одесса. 1868 г.

Eka Goderzishvili

From the history of relations between Christians and Muslims Summary

In the article: From the history of relations between Christians and Muslims, the general description of relations between two religions, is clearly shown. Lots of branches of Christian church existed and exist even now in the Eastern world. Muslims were dominating on the lands where was the highest level of civilization and education. The Christian church appears to be the defender of this civilization. This civilization together with Christian ideology had become the source of the Islamic mental and moral development. Also with the process of growth of education in Islam, Christians' intellectual help was less needed, so their influence was falling with time.

The rise and rise of Islamic religion had defined the fate of Christians, living in east. Most of them become Muslims, and just some of them kept Christian culture and turned in small Christian groups.

The article also shows the condition of Christians since the beginning of the reign of Muslims, in what conditions where they, during the reign of different dynasties, we can also see the relations of Eastern Christians with Roman Catholic Church, and that was the reason that they developed as the Unio churches.